

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსაღვენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ლუგან ნემსაძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის წორმების ცოდნა	23	25	
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25	
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20	
პროფესიული თვისებები	13	15	
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წერთანა	9	10	
პროფესიული აქტივობა	4	5	
ქულათა ჯამი	90	100	

გოგა კიკილაშვილი

27 / _06_ / 2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

არამოსამართლე წევრი

გოგა კიკილაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2025 წლის 10 აპრილის N1/35
განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის
კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ლევან წემსაძის

შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

- 1.1. „საბჭო“ 2025 წლის 10 აპრილის N1/35 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.
- 1.2. კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა **ლევან წემსაძე** (შემდგომში - „კანდიდატი“).
- 1.3. „საბჭო“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34¹ მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გაფეხანი დეტალურად.
- 1.4. „კანონის“ 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით და ჩემი მონაწილეობით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.
- 1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. „კანდიდატი“ 45 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (ქაგისტრთან გათანაბრუბული, ამჟამად დოქტორანტი). აქვს 14 წლიანი სამუშაო გამოცდილება, კურსოდ:

- ✓ 2008წ. ოქტომბერი – 2009წ. მაისი - მცხეთის რაიონული სასამართლოს მანდატურის მოვალეობის შემსრულებელი;
- ✓ 2009 წ. მაისი – 2011 წ. იანვარი - მცხეთის რაიონული სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსი;
- ✓ 2011 წ. იანვარი – 2011 წ. მარტი - თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის განყოფილების ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სექტორის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- ✓ 2011 წ. მარტი – 2012 წ. მარტი - თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის განყოფილების ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სექტორის უფროსი;
- ✓ 2012 წ. მარტი – 2013 წ. აპრილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- ✓ 2013 წ. აპრილი - 2013 წ. ივლისი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი კონსულტანტის მოვალეობის შემსრულებელი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საორგანიზაციო საკითხებში;
- ✓ 2013 წ. ივლისი – 2015 წ. თებერვალი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი კონსულტანტი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საორგანიზაციო საკითხებში;
- ✓ 2015 წ. თებერვალი - 2015 წ. მაისი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხარისხის მართვისა და რეფორმების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- ✓ 2015 წ. მაისი - 2017 წ. აპრილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხარისხის მართვისა და რეფორმების სამმართველოს უფროსი;
- ✓ 2019წ. – 2020წ. - საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შპართველობის სფეროში შემავალი სსიპ არასაპატიორო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის წევრი;
- ✓ 2017 წ. აპრილი – 2022 წ. მარტი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთივის დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სამოსამართლო ეთივის სამმართველოს უფროსი;
- ✓ 2022წ. მარტი – 2022 წ. ოქტომბერი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ხარისხის ჯგუფის უფროსი კონსულტანტი (შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე);
- ✓ 2023 წ. იანვარი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ხარისხის ჯგუფის უფროსი კონსულტანტი (შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე);
- ✓ 2023 წ. იანვარი - 2023 წ. ოქტომბერი - საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი;
- ✓ 2023 წ. ოქტომბრიდან - დღემდე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის დამრუკიდებლობას, სამართლიანობას, გულისხმიურებას, საქმისადმი სიყვარულს, კორექტულობას, თვითგანვითარების უნარს, კომპეტენტურობას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს.

გამოკითხულთაგან ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეების და ნაკლოვანების გრაფაში უთითებს, რომ ლევან ნემსაძე ზედმეტად პასუხისმგებლიანია თავისი ვალდებულებების მიმართ, რეკომენდატორი აქვე დასმენს, რომ არ იცის აღნიშნული შეიძლება თუ არა ჩაითვალოს სისუსტედ.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია მის საქმიანობასთან დაკავშირებით.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია.

კანდიდატის სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი, 309 კვ.მ. ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ურბნისი; მიწის ნაკვეთი, 2951 კვ.მ. (33%) მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხრანი; ავტოფარეხი, 16.73 კვ.მ. ქ.თბილისი; მიწის ნაკვეთი, 2460 კვ.მ. ქარელი, ადმინისტრაციული ერთეული - ურბნისი; ბინა 99,98 კვ.მ. თბილისი; მიწის ნაკვეთი 1000 კვ.მ. დუშეთის რაიონი, სოფელი საშაბურო.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატი“ 6 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავუბში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების სამიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

კანდიდატის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა.

2.1.6. კანდიდატმა წარმოადგინა სამართლებრივი ნაშრომი, თემაზე: „აღდგენითი მართლმაჯულების არსი და მნიშვნელობა“.

2.1.7. „კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში.

2.1.8. კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2023 წლის 24 სექტემბერი)

2024 წლიდან კანდიდატი არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უწივერსიტეტის დოქტორანტი.

2.1.9. „კანდიდატი“ არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.10. „კანდიდატის“, კანდიდატის არ აქვს გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

2.1.11. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატს „საბჭოს“ წევრებმა დაუსცეს ზოგადი და სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. კანდიდატმა გამოავლინა სამართლის და სასამართლო პრაქტიკის კარგი ცოდნა, ასევე მოსამართლისთვის საჭირო კომუნიკაციის და სხვა უნარები. მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული, კანდიდატმა მოაშველია ქართული და უცხოური სასამართლო პრაქტიკა შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება უფრო მნიშვნელოვანი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მივედი შემდეგ დასკვნამდე:

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის მიმართ კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს კეთილსინდისიერების შემდეგ კომპონენტებს:

- ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;
- ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“;
- გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;
- დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“.

3.2. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, შეფასების დროს ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, გაითვალისწინება: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოყვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე საშახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესებისას, ზანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა კადასახადის, საგზაო მომრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

3.2.1. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ მაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანო კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისში, ამიტომ მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმს.

3.2.2. საჯარო მოსმენის და მოძიებული მონაცემების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ არის დამოუკიდებელი და გარე ფაქტორების გავლენის მიუხედავად შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, შესაბამისად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ (ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განმარტებით) „დამოუკიდებლობის, მიუკერძოუბლობისა და სამართლიანობის“ მასასიათებელს.

3.2.3. საჯარო მოსმენის შედეგების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობის დროს ავლენს კორექტულობას და კოლეგიალურობას, არის თავდაჭერილი, კოლეგების მიმართ ავლენს პატივისცემას. ჩემი შეფასებით, „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული განმარტებით) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მასასიათებელს.

3.2.4. მოსმენის და მოძიებული მონაცემების ანალიზის შედეგად არ გამოიკვეთა გარემოება, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმეციას, რომ „კანდიდატს“ აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში, შესაბამისად, მივიჩნევ, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული განმარტებით) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მასასიათებელს.

3.2.5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მივედი შემდეგ დასკვნამდე:

4.1.1. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის „სამართლის ნორმების ცოდნის“² მაქსიმალური შეფასება „კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შედგენს 25 ქულას.

¹ იხ. წინამდებარე შეფასების მე-2 პუნქტი.

² კრიტერიუმის კომპეტენტული განმარტინულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-9 პუნქტით.

შეფასების 2.2. პუნქტიში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, „სამართლის ნორმების ცოდნის“ კომპონენტით „კანდიდატს“ ვაფასებ 23 ჭულით.

4.1.2. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპუტერული შეფასება განისაზღვრება 25 ჭულით.

„კანდიდატმა“ საჯარო მოსმენის დროს გამოავლინა ლოგივური მსჯელობის და დასაბუთების ვარგი უნარები.

„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპუტერული შეფასების მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 23 ჭულით.

4.1.3. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება „კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ჭულას.

კანდაიდატმა საჯარო მოსმენის დროს გამოავლინა მოსამართლისთვის შეფასებირი კომუნიკაციის უნარები. საჯარო მოსმენის და წარმოედგენილი დოკუმენტების გაცნობის შედეგად „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 18 ჭულით.

4.1.4. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილია „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული ივისებების“ მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება - 15 ჭულა.

მოძიებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ არის მიზანდასახული და შრომისმოყვარე, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ავლენს მოსამართლის პროფესიისთვის აუცილებელ ემოციურ მედეგობას.

„პროფესიული ივისებების“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 13 ჭულით.

4.1.5. „კანონის“ 35¹ მუხლის მე 3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა“⁴ ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმჯობეს 10 ჭულით.

„კანდიდატი“ არის სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, მას გააჩნია ახალი ცოდნისა და უნარების შემცირების დიდი ინტერესი, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შექნილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

³ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-10 პუნქტით.

⁴ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.

⁵ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-12 პუნქტით.

⁶ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-13 პუნქტით.

„კადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 9 ქულით.

4.1.6. „კანონის“ 35¹ მუხლის მუ-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“⁷ მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მუ-16 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 5 ქულას.

არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დავადგინე რომ „კანდიდატი“ აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმარცვლების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის სამუშაო შესყვედრებში, დისკუსიებშა და სემინარებში, სადაც იგი იჩენს ინიციატივას და სხვადასხვა იდეებს წარუდგენს საზოგადოებას.

„პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 4 ქულით.

4.2. ყოველთვე ზემოაღნიმნულიდან გამომდინარე, კომპეტუნტურობის კრიტერიუმის მიხედვით, „კანდიდატს“ ჯამურად ვაფასებ 90 ქულით.

გოგა კიკილაშვილი

27 / 06 / 2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

⁷ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მუ-14 პუნქტით.